



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№ 17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება № 79/2020

2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მეორე ტურის არჩევნებისათვის № 10 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. თელავი

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 76¹ მუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის N16/2020 წლის დადგენილების საფუძველზე №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მეორე ტურის არჩევნებისათვის № 10 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. კომისიის წევრობის მსურველთა საბუთები მიიღება 2020 წლის 17 ნოემბრიდან 18 ნოემბრამდე 10 საათიდან – 18 საათამდე მატერიალური სახით:

N16 ყვარლის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის №34)

N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თელავი, დავითაშვილის 2)

N18 ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ახმეტა, ბ. ჩოლოყაშვილის №50)

ან ელექტრონული ფოსტის მისამართებზე :

16_kvareli@cec.gov.ge

17_telavi@cec.gov.ge

18_akhmeta@cec.gov.ge

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N138) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

/რ. გაიპარაშვილი/

კომისიის მდივანი

/მ.სეხნიაშვილი/

დანართი

N 10.16.05. ვაკანსია 1

N 10.17.35. ვაკანსია 2

N 10.18.05. ვაკანსია 1

N 10.18.23. ვაკანსია 2